ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2018 წლის 27 აპრილი

ქ. ხობი

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27.02.2018წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.106.016291) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 85^1 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:“;**

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-დან ამოღებულ იქნეს მეორე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები;

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-დან ამოღებულ იქნეს მეორე მუხლის მესამე პუნქტი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა**